საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზარიძეები

ზარიძეები (ყოფ. ჩიტაურთკარი), სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (ივრის აუზი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ბუჭყინტა, ვერხველი, ზემო შარახევი, ზენამხარი, იარაჯულები, ივლიანთგორი, ლახატო, საკრეჭიო, ქვემო შარახევი, ხოფცა, ჯიჯეთი). ზ. დ. 1170 მ, თიანეთიდან 7 კმ. 439 მცხ. (2002). სოფლის შუა ნაწილში დგას XVIII ს.

დარბაზული ეკლესია.

ეკლესიას დას. კედელზე დაშენებული ჰქონია პატარა სამრეკლო.